ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

XIII 2021

თეკლა ბატონიშვილი და ისტორიულ-კულტურული პარადიგმის ცვლილების დასაწყისი საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის პირობებში

Tekla Batonishvili (princess) and the beginning of the change of the historical-cultural paradigm in the conditions of the Russian colonial policy in Georgia

რუსუდან მიქაუტაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

მადონა რობაქიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Rusudan Mikautadze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

Madona Robakidze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

The endless Iranian-Ottoman invasions shook the basics of Georgia's political, economic, and cultural foundations. Persian cultural expansion was especially noticeable in aristocratic circles and endangered the Georgian national thought, for which Western values had been defined since the Middle Ages, as Georgian culture had followed the path of Western development since pre-Christian times. In the XVII-XVIII centuries, the expansion of Persian culture was observed especially in literature and music and created an obvious danger for the degeneration of Georgian national thought. It was in this situation that Erekle II promoted Anton the Catholicos to the royal court, with the help of which appeared the main line against the expansion of Eastern culture and the pursuit of European culture, in which the Russian Empire was to play an important role.

Striving for Russia and giving preference to Russian orientation was not an easy political move. However, Georgian thinkers believed that this would be the best way for Georgia to get closer to Europe and European culture, that it would

be an opportunity to separate from Eastern cultural traditions, the final definition of Georgia's general cultural orientation.

Capitalist relations were slowly being established in the country, the Georgian bourgeoisie was formed, but Russia's colonial policy prevented Georgia from gaining a foothold in the ongoing processes in Europe. The Georgian people were in real danger of degeneration and extinction. Tekla Batonishvili and the advanced Georgian society correctly assessed the created threat and unleashed the national liberation movement in order to preserve their identity. Tekla Batonishvili shared the goals and action plans of the members of the Georgian National Liberation Movement, moreover, her son, Alexander Orbeliani, was one of the organizers of the 1832 conspiracy.

Colonial ideology had a devastating effect on most of the Georgian nobility, who replaced the vital interests of the country with the colonial yoke. But the national spark still lived on in the advanced sections of society. Through their way of life, beliefs, and literary or publicist works, they tried to bring the ideas of enlightenment and European culture to Georgia, which later laid the foundation for a powerful movement of „Tergdaleuli", a struggle to raise the national self–awareness and self-consciousness of the country.

საკვანძო სიტყვები: კულტურული ორიენტაცია, კულტურული ექსპანსია, განმანათლებლური იდეები.

Keywords: cultural orientation, cultural expansion, ideas of Enlightenment.

გვიანფეოდალური საქართველო განუწყვეტლივ იყო თავდასხმის ობიექტი მაჰმადიანური სახელმწიფოების მხრიდან. ირან-ოსმალეთის გაუთავებელმა შემოსევებმა ძლიერ შეარყიეს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საფუძვლები. XVIII ს.-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფო პოლიტიკურად და ეკონომიკურად ირანის სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამის დასტური იყო ნადირშაჰის მიერ ქართლში მეფედ თეიმურაზ მეორის, ხოლო კახეთში – მისი შვილის, ერეკლე მეორის დანიშვნა.

ერეკლე მეორის მიერ გატარებული სწორი პოლიტიკის შედეგად ქართლ-კახეთი ეკონომიკურად ნელ-ნელა გაიმართა წელში, გაიზარდა ქალაქების რიცხვი, განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა ხელოსნობა, გაჩნდა მცირე ფაბრიკები და ქარხნები, ფეხის მოკიდება დაიწყო კაპიტალისტურმა ურთიერთობებმა, თანდათან გაიზარდა სავაჭრო და სავახშო კაპიტალის მნიშვნელობა, ჩამოყალიბება დაიწყო ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობებმა, გაჩნდა ქართული ბურჟუაზია, მკვეთრად გამოხატული სახე მიიღო სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის დიფერენციაციამ.

ეს იყო პერიოდი, როცა ქართლ-კახეთის სამეფო ცდილობდა დაკავშირებოდა ეკონომიკურად და პოლიტიკურად უფრო ძლიერ სახელმწიფოებს, გაეგზავნა ახალგაზრდები საზღვარგარეთ განათლების მისაღებად, მოეწვია ისეთი ადამიანები, რომლებიც შეძლებდნენ კაპიტალისტური წარმოების შექმნას და განვითარებას ქვეყანაში. როგორც პროფ. ვ. ბერიძე შენიშნავდა: „ადგენენ პროექტებს სახელმწიფო მართვის სისტემის შეცვლის შესახებ, იწყება მუშაობა ჯარის რეორგანიზაციისათვის, აგრეთვე სახელმწიფო შემოსავლებისა და ფულის სისტემის სრულყოფასოვანი გარდაქმნისათვის, ამუშავებენ კოდექსს მეფის უფლების, სამღვდელოების, მოხელეებისა და სასამართლოს შესახებ, ცდილობენ, მოაგვარონ სკოლის საქმეც“ (ბერიძე 1936).

თუმცა ერეკლე მეორეს კარგად ესმოდა, რომ ქვეყნის აღორძინება დროებითი მოვლენა იყო, რომ ქართული სახელმწიფო მარტო ვერ გაუმკლავდებოდა მაჰმადიანურ გარემოცვას და საჭირო იყო ძლიერი მფარველი. სწორედ შექმნილმა ვითარებამ განაპირობა რუსეთის აქტიური გამოჩენა ქართულ სინამდვილეში, როგორც დასავლეთთან დაბრუნების შემოვლითი გზისა. რუსეთის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი საქართველოსთვის არ იყო მარტივი გადასაწყვეტი. ამის შესახებ წერდა კიდეც ბატონიშვილი თეკლა. მას მიაჩნდა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე გიორგი იძულებული იყო დათანხმებულიყო და აღნიშნავდა, რომ „სცდებიან იგინი და სცოდავენ ღმერთსა, რომელნიცა აბრალებენ ძმასა ჩემსა გიორგის ქვეყნის გაცემას და სამეფოს დაცემას“. მას მიაჩნდა, რომ გიორგი იძულებული იყო ეს ნაბიჯი გადაედგა გარეშე მტრული ძალების მეტისმეტი მოძალების გამო.

თეკლა ბატონიშვილის პოლიტიკური მრწამსი ემთხვეოდა იმ პერიოდის ქართველ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა შეხედულებებს, მათ მიზნებსა და მოქმედებას. თეკლა იყო ერთადერთი ერეკლე მეორის შვილებს შორის, რომელიც არ იწონებდა მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მიმართულ მისი დედისა და ძმების ქმედებებს. „ვერ გავამართლებ ვერცა დედასა ჩემსა დედოფალსა დარეჯანსა, ვერც ძმათა და დათა ჩემთა, კარგად ვიცი, როგორ აწუხებდნენ მეფესა“ (უთურაშვილი 1991: 21). იგი ასკვნიდა, რომ ვიყავით ღირსი დასჯისა და დავისაჯენითო.

რუსეთისკენ სწრაფვა და რუსული ორიენტაციისათვის უპირატესობის მინიჭება არ იყო მარტივი პოლიტიკური ნაბიჯი. თუმცა ქართველი მოაზროვნეები მიიჩნევდნენ, რომ ეს იქნებოდა საქართველოსთვის საუკეთესო გზა დაახლოებოდა ევროპას და ევროპულ კულტურას, რომ ეს იქნებოდა აღმოსავლური კულტურისაგან გამიჯვნის შესაძლებლობა, საქართველოს ზოგადკულტუროლოგიური ორიენტაციის საბოლოო განსაზღვრა.

ქართული აზროვნებისთვის ევროპა ჯერ კიდევ შუა საუკუნეები-დანიყო განმსაზღვრელი ფაქტორი, რადგან „თავად, როგორც

ადრექრისტიანული კულტურა, იმთავითვე დასავლური კულტურის განვითარების კვალში იდგა და იქიდან ამოვარდნას საკუთარი რაობის დაკარგვას უიგივებდა“ (ბახტაძე 2001: 338), ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ეროვნული აზროვნება თავის ტიპოლოგიურ, კერძოდ, დასავლურ ნიშან-თვისებებს ავლენდა და აღმოსავლურობისაგან გამიჯვნას ცდილობდა. ამის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი კი ანტონ კათალიკოსი იყო.

XVII–XVIII საუკუნეებში აღმოსავლურ-სპარსული ელემენტები ფართოდ იყო შეჭრილი ქართულ სინამდვილეში, განსაკუთრებით არისტოკრატიულ წრეებში. ცნობილია ერეკლე მეორის წერილი თეკლასადმი, სადაც ის აღნიშნავდა, რომ ვერ გაერჩია თეკლას კალიგრაფია გამოგზავნილ წერილში, რადგან მის მიერ დაწერილი ქართული ასოები უფრო არაბულს გავდაო. სპარსული კულტურის ექსპანსია განსაკუთრებით ლიტერატურასა და მუსიკაში შეინიშნებოდა და ქმნიდა აშკარა საშიშროებას ქართული ეროვნული აზროვნების გადაგვარებისთვის. სწორედ ასეთ სიტუაციაში დააწინაურა სამეფო კარზე ერეკლე მეორემ ანტონ კათალიკოსი, რომლის დახმარებითაც გამოჩნდა მაგისტრალური ხაზი აღმოსავლური კულტურის ექსპანსიისათვის ზღვარის დადებისა და ევროპული კულტურისკენ სწრაფვისა, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი რუსეთის იმპერიას უნდა შეესრულებინა.

მაგრამ 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატი, რომლითაც ქართველი ერი სახელმწიფოებრიობას ინარჩუნებდა, რუსეთის ხელისუფლებამ უცერემონიოდ დაარღვია, ჯერ ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა, შემდეგ კი დანარჩენი პოლიტიკური ერთეულები მოაქცია იმპერიის შემადგენლობაში. ქართველი ერი სხვისი ბატონობის უღელქვეშ აღმოჩნდა. რუსეთის იმპერია არად დაგიდევდათ თავის ბატონობაში მოქცეული პატარა ერების სასიცოცხლო ინტერესებს და მათ გაქრობა-ჩაყლაპვისა და გადაგვარება-ასიმილაციისთვის არაფერს იშურებდა.

დასავლური კულტურული ღირებულებებისკენ სწრაფვა ქართველი ხალხს გადაგვარება-მოსპობის რეალობად ექცა. მოწინავე საზოგადოებამ სწორად შეაფასა შექმნილი საფრთხე და გააჩაღა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავისი იდენტობისა და რაობის შესანარჩუნებლად.

როგორც ჩანს, თეკლამ თავიდანვე აუღო ალღო რუსული კოლონიური პოლიტიკის არსს არა მხოლოდ სამეფო ოჯახის, არამედ მთელი ქვეყნის მიმართ. რუსი ჩინოვნიკები ცდილობდნენ, ამოეძირკვათ ყველაფერი: ქართული, ენა, ტრადიციები, განათლება, წარმოეჩინათ ქართველი ხალხი ველურებად, არაცივილურებად. ამიტომ ცდილობდა თეკლა დაერწმუნებინა თავისი მეუღლე, ვახტანგ ორბელიანი, რომ 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს კახელების მხარე დაეჭირა და არა რუსებისა. თუმცა რუსი მმართველები ქართველ თავადებს ოჯახების ამოწყვეტით ემუქრებოდნენ, თუ მათ მხარეს არ დაიჭერდნენ. ამ მძიმე მდგომარეობაში

თეკლას გადაწყვეტით უთქვამს მეუღლისთვის: „ჩემი რჩევა ეს არის, რომ თქვენ რაც ერთიან კახელებს მიუდგეთ, წადით, ნუღარ დააყოვნებთ რამეს. აქ ჩვენ რაც უნდა მოგვივიდეს, თქვენს ცოლ-შვილებს, თუნდა სულ ერთიან ლუკმა-ლუკმად დაგვჭრან, ეს არაფერი არის, ოღონდ მიუდექით თქვენს ძმებს, კახელებს“ (უთურაშვილი 1991: 24).

თეკლა დიდ დროს უთმობდა თავისი ვაჟების ეროვნულად აღზრდის საქმეს, მათ ზნეობრივ, ფიზიკურ, მუსიკალურ აღზრდას. ალექსანდრემ, დიმიტრიმ და ვახტანგმა, დედის გავლენით, შესანიშნავი განათლება მიიღეს. ალექსანდრემ, ქართულთან ერთად, იცოდა რუსული და თურქული, ვახტანგი კი შესანიშნავად ფლობდა ფრანგულს. თეკლას დამსახურებით, მისი შვილები გადაურჩნენ ეროვნული სულის გამხრწნელ პოლიტიკას რუსეთის მხრიდან, რადგან ვახტანგ ორბელიანმა ჩინ-მედლებზე გაცვალა სამშობლო, გადავიდა რუსეთის მხარეზე, აითვალწუნა ქართული ენა და თურმე ჯავრობდა, რომ მისი შვილები ქართულ წერა-კითხვას სწავლობდნენ. თეკლას ხშირად მოჰყავდა თავისი შვილებისა და რძლებისთვის ქეთევან დედოფლის მაგალითი და თვითონაც გმირულად შეხვდა იმ განსაცდელებსა და გადასახლებას, რომელიც რუსეთის კოლონიურმა რეჟიმმა არგუნა მის ოჯახს.

თეკლა და მისი სამივე ვაჟი აქტიური მონაწილეები იყვნენ 1832 წლის შეთქმულებისა, ალექსანდრე კი მისი ერთ-ერთი ორგანიზატორიც გახლდათ. აჯანყება ვერ განხორციელდა მოღალატეობის გამო. თეკლას სამივე ვაჟი მოუნახულებია საპყრობილეში განაჩენის გამოტანის წინ და გაუმხნევებია ქართველი მეფეების გმირობის ისტორიული მაგალითებით.

თეკლა ბატონიშვილი გამოცდილი დიპლომატიც ჩანს, რომელიც კარგად იცნობდა ცარისტულ ცენზურას. ამიტომაც შვილებისადმი გაგზავნილ წერილებში იგი რუსეთის იმპერატორს (ნიკოლოზ პირველს) კეთილმოწყალე და სამართლიან ხელმწიფედ მოიხსენიებდა. ეს ერთგვარი ტაქტიკური მანევრი იყო, რათა რუსთა მმართველობის გული მოეგო და მისი ვაჟი ალექსანდრე ეხსნა სასიკვდილო განაჩენისაგან. თუმცა გადასახლებას ვერც თვითონ გადაურჩა, მიუხედავად იმისა, რომ ვერ დაუმტკიცდა შეთქმულებაში მონაწილეობა. 1834 წლის აგვისტოში იგი სამუდამოდ გადაასახლეს კალუგაში თავის ვაჟთან, ვახტანგთან ერთად, მაგრამ იმპერატორის ნებით მომდევნო წლის გაზაფხულზე უკან დაბრუნდა საქართველოში.

ილია ჭავჭავაძე თეკლას დახასიათებისას შენიშნავს, რომ იგი განათლებული ყოფილა, იცოდა საღმრთო წერილი, მისდროინდელი ქართული მწერლობა. შემკული ყოფილა ჭკუით, სიბრძნითა და სათნოებით, ამასთანავე გამოირჩეოდა დიდი მხნეობითა და გამჭრიახობით. ერეკლე მეფეს თავისი უმცროსი ასული განსაკუთრებით ჰყვარებია და ხშირად უთქვამს თურმე: „ჩემს ვაჟიშვილებს თეკლას სიკეთე რომ სჭირდეთ, ბედნიერი ვიქნებოდიო“ (ჭავჭავაძე 1953).

ანტიკოლონიური გამოსვლების მარცხმა, სახელმწიფოებრიობის მოშლამ, ცარიზმის მზაკვრულმა პოლიტიკამ ქართველი არისტოკრატიის ოჯახები დააბნია, ბევრი მათგანი ჩინ-მედლების ბრწყინვალეებამ მოხიბლა და რუსი კოლონისტების სამსახურში ჩააყენა. რუსეთის მიზანმიმართული პოლიტიკა ითვალისწინებდა თავადაზნაურობის გადაგვარებას, ამ მიზნით სათამაშო სახლების, ტრაქტირების გახსნას, რამაც ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილის ზნეობრივი დაცემა და გაფუქსავატება გამოიწვია. ბევრი მათგანი ყიდდა მამულებს, რომლებსაც ქაღალდის, ბილიარდის თამაშში აგებდა, ხშირი იყო მამულების გამო საჩივრები, ჩხუბი და აყალ-მაყალი. ვ. ორბელიანი შენიშნავდა, რომ რუსების მოსვლამდე მთელი საქართველო რომ შემოგეარათ, ერთ „შეგარცხვინოს“ ვერ გაიგონებდი, არამცთუ ლანძღვა-გინება გაეგონათ ერთმანეთში. ეხლა შემოვიდა ამ რუსების დროსა რუსეთის მუჟიკების ლანძღვა და გინება, თორემ უწინ სად გაიგონებოდა უშვერი სიტყვა საქართველოში. ეს იყო ნაკლულოვნება უწინდელს დიდკაცებში, რომ ერთმანეთის მოშურნენი იყვნენ“ (უთურაშვილი 1991: 68).

ეროვნული მუხტის შესუსტებამ და ქართველი არისტოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილის რუსეთის მხარეზე გადასვლამ თეკლას ვაჟების, განსაკუთრებით ალექსანდრეს ჯანმრთელობის გაუარესებამ გადასახლების შედეგად და ოჯახურმა ტრაგედიებმა თავისი კვალი დატოვა მათ ოჯახზეც. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ თეკლა მეტწილად ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით არის დაკავებული და ცდილობდა, ფეხი აეწყო ახლადშემოჭრილი კაპიტალისტური ურთიერთობებისთვის საქართველოში. იგი გახლდათ ერთ-ერთი პირველი, რომელმაც თავის მამულში (თბილისის გარეუბანში) გააშენა ბაღი და დაიწყო დაქირავებული შრომის გამოყენება. მასთან გარიგების საფუძველზე მუშაობდნენ იმერეთიდან ჩამოყვანილი მებაღეები. ბაღის შემოსავალი წლიურად 160 მანეთიდან 500 მანეთამდე გაზარდა. მასვე, სოფ. ასანხოჯალოში, მაშავერას ნაპირზე, რომელიც მას მზითევში ერგო დედის მხრიდან, გაუყვანია სარწყავი არხი, რითაც შრომა გაუადვილა და მოსავალი გაუმრავლა მის კუთვნილ 40 კომლ თათრების ოჯახს. სოფელი მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფდა თეკლას ოჯახს პურით. თეკლას ოჯახი მანავში ამუშავებდა ზვარს და იქიდან მიღებული ღვინის დიდ ნაწილს ბაზარზე ყიდდა. გარდა ამისა, რუსული სახელმწიფოსგან ის იღებდა პენსიასაც, თუმცა მაინც უჩიოდა ფინანსური სახსრების ნაკლებობას.

თეკლას ალღო და გამჭრიახობა გამოიკვეთა გირავნობის წესით გასესხებაში, ანუ მევახშეობაში, რომლითაც მაშინ დაკავებული ყოფილა ფეოდალური არისტოკრატიის ოჯახები. ამაზე მეტყველებს რამდენიმე ცნობა სესხის გაცემისა სარგებლით და მოვალის სახლის დაგირავებისა, ბოლოს ამ სახლის თეკლას სარგებლობაში გადასვლის შესახებ. თუმცა ჩანს,

რომ თბილისის ბურჟუაზია ანგარიშს უწევდა თეკლას წარმომავლობას და აუქციონზე მას კონკურენტი არ გამოსჩენია, რაც იშვიათი მოვლენა იყო იმ პერიოდში. თეკლას ოჯახი (იგი სიცოცხლის ბოლომდე, 1776-1846 წლებში ცხოვრობდა უფროს ვაჟიშვილ ალექსანდრესთან და მის ოჯახთან ერთად) რენტაბელურად იყენებდა შემოსულ ფულად სახსრებს და ცდილობდა ახალი დროისთვის ფეხის აწყობას. მათ მოახერხეს მეურნეობის გარდაქმნა კაპიტალისტურ ყაიდაზე და თავიდან აიცილეს ქონებრივი დეგრადაცია, განსხვავებით თავადაზნაურთა ბევრი სხვა ოჯახისაგან. მისმა ვაჟებმა და მათმა შემოქმედებამ გარკვეული როლი ითამაშეს საქართველოში XIX ს.-ის მეორე ნახევრის განმათავისუფლებელი იდეების ჩამოყალიბებაში.

თუმცა ქართული კულტურა ამ პერიოდში რჩება იმ პროცესების მიღმა, რომელიც აქტიურად მიმდინარეობს ევროპის ქვეყნებში, სადაც ჩამოყალიბებას იწყებს ახალი მეცნიერული პარადიგმა, იწყება სოციალურ-პოლიტიკური და მენტალური ცვლილებები, იქმნება ინდივიდუალისტური საზოგადოებები, ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის კულტი. რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ დააძაბუნა ქართული ეროვნული ცნობიერება და თვითშეგნება, თუმცა მძიმედ, მაგრამ მაინც მასში აღწევს ახალი დროის ევროპული კულტურის ზოგიერთი თვისება, მაგალითად, განმანათლებლური იდეები, რომელთა იმპორტს რუსეთის გავლით ეწეოდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მათ შორის თეკლას ვაჟი ალექსანდრე ორბელიანი.

გამოყენებული ლიტერატურა

ბახტაძე 2001: ბახტაძე ი., ქართული კულტურა-დასავლეთი. თბილისი, 2001.

ბერიძე 1936: ბერიძე ვ., დავით რექტორი - ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგრძელებელი. თსუ შრომები, ტ. I. თბილისი, 1936.

უთურაშვილი 1991: უთურაშვილი ი., თეკლა ბაგრატიონი. თბილისი, 1991.

ჭავჭავაძე 1953: ჭავჭავაძე ი., თხზულებები, ტ. III. თბილისი, 1953.